



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გულნარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

- **თეა თავაძე-ასათიანი** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
- **თამარი ოღლიშვილი** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- **მზია მახაჭაშვილი** (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- **ეკა ტყავაშვილი** (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
- **შოთა მაღლაკელიძე** (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
- **მარინე მურჯიკნელი** (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
- **ილონა აკობია** (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
- **გიორგი ზერძულიშვილი** (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
- **მურად ფახურიძე** (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
- **ნინო ჯოჯიშვილი** (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209469074

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, გლდანი II რ/ნ, ფორე მოსულიშვილის ქ. N33
საფოსტო ინდექსი	0167
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://surl.li/tradp https://www.facebook.com/160sajaroskola/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi160@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322585634

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 24 0000874851 17.07.2024წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	09.09.-10.09.2024წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, გლდანის II რ/ნ, ფორე მოსულიშვილის N33, (შენობა 1)
2	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, გლდანის II რ/ნ, ფორე მოსულიშვილის N33, (შენობა 1)
3	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, გლდანის II რ/ნ, ფორე მოსულიშვილის N33, (შენობა 1)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 09 და 10 სექტემბერს ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე:

✓ გულნარა ხაბურზანია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

- **თეა თავაძე-ასათიანი** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- **თამარი ოღლიშვილი** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- **მზია მახაჭაშვილი** (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- **ეკა ტყავაშვილი** (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
- **შოთა მაღლაკელიძე** (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
- **მარინე მურჯიკნელი** (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
- **ილონა აკობია** (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
- **გიორგი ბერძულიშვილი** (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
- **მურად ფახურიძე** (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
- **ნინო ჯოჯიშვილი** (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც შევაჯერეთ წინასაავტორიზაციო სამუშაო შეხვედრაზე. შეხვედრაზე ერთობლივად შევიმუშავეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას.

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტები ვიზიტის დროს პირისპირ ფორმატში გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს-სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს. ყველა საგნობრივ ექსპერტს ჰქონდა შესაძლებლობა ჩაეტარებინა ინტერვიუები კათედრების წარმომადგენლებთან ონლაინ ფორმატში. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში, ესწრებოდა როგორც ქართულის, ისე მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ინტერვიუების პროცესს, სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს დაწყებითი საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე. ვიზიტის შემდეგ დაწყებითი საფეხურის ექსპერტი მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში. ვიზიტის პირველ დღეს საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრებას დღის წესრიგით განსაზღვრული დროზე მეტი დასჭირდათ, რადმენადაც ერთ-ერთ კათედრას ჰქონდა ტექნიკური პრობლემა, რამაც გარკვეული ცვლილება გამოიწვია დღის წესრიგში. მეორე დღეს რამდენიმე საგნობრივი ექსპერტი კვლავ გაესაუბრა კათედრის წარმომადგენლებს დამაზუსტებელი კითხვებით.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეისწავლეს თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია, დაათვალიერეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებითი იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.



VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის
--	-----------	--



მოსწავლეთა რაოდენობა: 1600	ჯგუფი ეთანხმება ☒	მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
 ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შეესაბამება;
 ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შეესაბამება;
 ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულად შეესაბამება.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ	- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შეათანხმოს <u>საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან</u>, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების მიხედვით (შესრულების ვადა 15.05.2025). - უზრუნველყოს <u>შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის</u> მოპოვება შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების შესაბამისად (შესრულების ვადა 13.05. 2025).

¹ გარდ მეთუ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის	
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შენობის შიდა სივრცეში პანდუსების მოწყობა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (შესრულების ვადა 09.10.2024-09.19.2025)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი	ბრძანებების სატიტულო ფურცლებზე ჩასწორდეს გასაჩივრების ადგილი.



	წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.	
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სასურველია დაწესებულების მიერ მოხდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებული რეკომენდაციის შესაბამისად მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით სამედიცინო



		პერსონალის დამატება.
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	მიზანშეწონილია სკოლამ იხელმძღვანელოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის დიზაინის, ჩარჩოს აუცილებელი კომპონენტები და გამოსაწორონ ტექნიკური ხარვეზები. <u>მათემატიკა</u> სასურველია დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები ან/და საკითხების კლასტერი, ყველა პროექტი თუ კომპლექსური დავალება, გამოკვეთილი იყოს მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები თუ ნახაზები, სოლო ტაქსონომიის განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ. <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> სასურველია დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში მოხდეს ყველა კლასში სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება. <u>სახელმწიფო ენა</u> სასურველია, სასწავლო თემების ფორმულირებისას კათედრამ



		იხელმძღვანელოს განახლებული საგნობრივი სტანდარტით, რომელშიც დაწყებითი საფეხურისთვის მოცემულია სარეკომენდაციო თემები, რადგან სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფების დასათაურებები რიგ შემთხვევებში არ გამოხატავს სასწავლო თემის შინაარსს. კათედრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საკითხი და ძირითადი რესურსი (ტექსტი) ერთი და იგივე არაა. სასურველია, საკითხები ფორმულირდეს ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური (ან დავალების დასახელება), არამედ ის მთავარი ქვეცნებები, რომლებიც თემის ფარგლებში მუშავდება;
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	<u>მათემატიკა</u> • სასურველია დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ კომპლექსურ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. • სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დაგეგმილი იყოს კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში, რაც მოსწავლეებში განამტკიცებს პირველ რიგში საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტაში, აყალიბებს მათში კვლევით უნარებს. <u>სახელმწიფო ენა</u> მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში აისახოს დაგეგმილი საგნობრივი თუ სოციალური პროექტები. სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრისთვის სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი, ვებინარი და სხვა) პროექტების დაგეგმვა-განხორციელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში. <u>კომპიუტერული ტექნოლოგიები</u> • სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვროს თემების საათობრივი დატვირთვა; • სასურველია, შემოქმედებითი დავალების, სასწავლო პროექტების



		შეთავაზების დროს, მეტად განისაზღვროს აქტივობების მრავალფეროვნება.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	<u>კომპიუტერული მეცნიერებები</u> სასურველია, შემოქმედებითი დავალების, სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> შეფასების სისტემის მუდმივი დახვეწა-განვითარება თანამედროვე/უახლეს მოთხოვნებთან შესაბამისობაში. <u>მათემატიკა</u> სასურველია დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დართული ჰქონდეს კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტები, რადგან საიტებზე განთავსებულ კომპლექსურ დავალებების უმრავლესობას არ ახლავს შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ კომპლექსური დავალებების შერჩევის და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში. სასურველია გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე შეიქმნას საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით. <u>სახელმწიფო ენა</u> რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ბუნების დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ უნდა შექმნას ამავე დავალებების შეფასების



		კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). კათედრას სჭირდება მხარდაჭერა, რათა საფუძვლიანად გაეცნოს ამგვარი რუბრიკების შემუშავების სპეციფიკას.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	<u>კომპიუტერული ტექნოლოგიები</u> შეიქმნას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები <u>სახელმწიფო ენა</u> შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი სიტყვებით, იყოს კონკრეტული, მაქსიმალურად ფოკუსირებული შესასწავლ საკითხზე, შესასრულებელ ამოცანაზე.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	<u>მათემატიკა</u> სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას. გამოყენებული იქნეს საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები. <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u> სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ძირითად რესურსთან ერთად მიეთითოს დამხმარე სასწავლო რესურსიც.
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	<u>მათემატიკა</u> სასურველია საავტორიზაციო მასალების გამოგზავნამდე მასწავლებლებმა გაიარონ ტრენინგები, რათა მათ ზუსტად იცოდნენ როგორ უნდა წარმოადგინონ მასალები. სასურველია მასწავლებელთა მიერ სკოლაში ჩასატარებელად დაგეგმილი და ჩატარებული სასწავლო და სხვა სახის აქტივობების სათანადოდ აღრიცხვა და წარმოჩენა, რაც ხელს უწყობს როგორც სკოლის ავტორიტეტის ზრდას, ისე მასწავლებლების კარიერულ წინსვლას, ნათელს ჰფენს შესრულებული სამუშაოს ხარისხსაც და რაოდენობასაც.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა



	საბაზო საფეხური	
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის დიზაინის, ჩარჩოს აუცილებელი კომპონენტები და გამომსწორონ ტექნიკური ხარვეზები. <u>მათემატიკა</u> სასურველია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები ან/და საკითხების კლასტერი, ყველა პროექტი, კომპლექსური დავალება, გამოკვეთილი უნდა იყოს მათი განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი დანართებით, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალით, სიმულაციებით, ნახატებით, ნახაზებით, სოლო ტაქსონომიის შეფასებებით და სხვ. <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> სასურველია საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში მოხდეს ყველა კლასში სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	<u>მათემატიკა</u> სასურველია საბაზო საფეხურზე მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევითი პროექტების ჩართვას სასწავლო პროცესში. საგანთაშორისი კავშირების შემცველი კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლეებში განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტაში, აყალიბებს მათში კვლევით უნარებს. <u>სახელმწიფო ენა</u> სასურველია, სასწავლო თემების ფორმულირებისას კათედრამ იხელმძღვანელოს განახლებული საგნობრივი სტანდარტით, რომელშიც საბაზო საფეხურისთვის მოცემულია სარეკომენდაციო თემები და სავალდებულო თემატური ბლოკები, რადგან სახელმძღვანელოში



		მოცემული პარაგრაფების დასათაურებები რიგ შემთხვევებში არ გამოხატავს სასწავლო თემის შინაარსს. კათედრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საკითხი და ძირითადი რესურსი (ტექსტი) ერთი და იგივე არაა. სასურველია, საკითხები ფორმულირდეს ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური (ან დავალების დასახელება), არამედ ის მთავარი ქვეცნებები, რომლებიც თემის ფარგლებში მუშავდება; • მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში აისახოს დაგეგმილი საგნობრივი თუ სოციალური პროექტები. სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრისთვის სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი, ვებინარი და სხვა) პროექტების დაგეგმვა-განხორციელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> მიზანშეწონილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ჰქონდეს გამწოვი კარადა. <u>მათემატიკა</u> სასურველია საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ კომპლექსური დავალებების შერჩევის და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები შეესაბამება თუ არა მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს, მორგებულია თუ არა პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებს და სხვ.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> შეფასების სისტემის მუდმივი დახვეწა-განვითარება თანამედროვე/უახლეს მოთხოვნებთან შესაბამისობაში. <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> მნიშვნელოვანია საბაზო საფეხურზე შეიქმნას საგნობრივი კურიკულუმის



		შესაბამისად განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით. <u>სახელმწიფო ენა</u> რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ბუნების დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ უნდა შექმნას ამავე დავალებების შეფასების კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). კათედრას სჭირდება მხარდაჭერა, რათა საფუძვლიანად გაეცნოს ამგვარი რუბრიკების შემუშავების სპეციფიკას.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	<u>სახელმწიფო ენა</u> სასურველია, კურიკულუმში აისახოს შემოქმედებითი ბუნების დავალების, შემაჯამებელი ნამუშევრის ან ნებისმიერი აქტივობის ინსტრუქციის მოსწავლის საჭიროების შესაბამისად მოდიფიცირებული რამდენიმე ნიმუში.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	<u>სახელმწიფო ენა</u> შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი სიტყვებით, იყოს კონკრეტული, მაქსიმალურად ფოკუსირებული შესასწავლ საკითხზე, შესასრულებელ ამოცანაზე.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ძირითად რესურსთან ერთად მიეთითოს დამხმარე სასწავლო რესურსიც.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი <u>საშუალო საფეხური</u>	რჩევა



ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	<u>მათემატიკა</u> სასურველია, საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები ან/და საკითხების კლასტერი, ყველა პროექტი, კომპლექსური დავალება, გამოკვეთილი იყოს მათი განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები თუ ნახაზები, სოლო ტაქსონომიის შეფასებები და სხვ. <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ კურიკულუმის დიზაინის, ჩარჩოს აუცილებელი კომპონენტები და გამოსწორონ ტექნიკური ხარვეზები. <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> სასურველია საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში მოხდეს ყველა კლასში სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგის და სამიზნე ცნების დამუშავება.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	<u>მათემატიკა</u> სასურველია საშუალო საფეხურზე მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევითი საგანთაშორისი კავშირების შემცველი პროექტების ჩართვას არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში, რაც მოსწავლეებში განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტაში, აყალიბებს მათში კვლევით უნარებს. <u>სახელმწიფო ენა</u> ▪ სასურველია, სასწავლო თემების ფორმულირებისას კათედრამ იხელმძღვანელოს განახლებული საგნობრივი სტანდარტით, რომელშიც საშუალო საფეხურისთვის მოცემულია სავალდებულო თემები, რადგან სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფების დასათაურებები რიგ შემთხვევებში არ გამოხატავს სასწავლო თემის შინაარსს. დამატებითი თემები და ტექსტებიც, რასაკვირველია, აისახოს კურიკულუმში.



		მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში აისახოს დაგეგმილი საგნობრივი თუ სოციალური პროექტები. სასურველია, სახელმწიფო ენის კათედრისთვის სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა (ტრენინგი, ვებინარი და სხვა) პროექტების დაგეგმვა-განხორციელებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოებაში.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	<u>მათემატიკა</u> სასურველია საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ კომპლექსური დავალებების შერჩევის და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში, გადაამოწმონ მითითებულ ელექტრო პორტალზე განთავსებული მასალები შეესაბამება თუ არა მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს, რამდენად შეესაბამება პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> მიზანშეწონილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ჰქონდეს გამწოვი კარადა. <u>სახელმწიფო ენა</u> სასურველია, გარდა სავალდებულო ტექსტებისა, შეირჩეს და კურიკულუმში აისახოს თემატურად შესაბამისი პარალელები ქართული თუ უცხოენოვანი ლიტერატურიდან.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> შეფასების სისტემის მუდმივი დახვეწა-განვითარება თანამედროვე/უახლეს მოთხოვნებთან შესაბამისობაში. <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> მნიშვნელოვანია საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემავალ საგნებში შეიქმნას საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განსაზღვრული და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების სახით.



		<u>სახელმწიფო ენა</u> რადგან კურიკულუმში ძირითადად კომპლექსური ბუნების დავალებებია წარმოდგენილი, კათედრამ უნდა შექმნას ამავე დავალებების შეფასების კრიტერიუმებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (წარმოდგენილია ბევრი რუბრიკა, მაგრამ ზოგადი ხასიათის). კათედრას სჭირდება მხარდაჭერა, რათა საფუძვლიანად გაეცნოს ამგვარი რუბრიკების შემუშავების სპეციფიკას.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> მე-12 კლასში შემსვლელმა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლებმა სასწავლო რესურსის გაცნობისა და კონსულტაციების მიღების შემდეგ დროულად შეიმუშავან შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები. <u>სახელმწიფო ენა</u> სასურველია, კურიკულუმში აისახოს შემოქმედებითი ბუნების დავალების, შემაჯამებელი ნამუშევრის ან ნებისმიერი აქტივობის ინსტრუქციის მოსწავლის საჭიროების შესაბამისად მოდიფიცირებული რამდენიმე ნიმუში.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	<u>სახელმწიფო ენა</u> შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მოთხოვნები უნდა ჩამოყალიბდეს უფრო მარტივი, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი სიტყვებით, იყოს კონკრეტული, მაქსიმალურად ფოკუსირებული შესასწავლ საკითხზე, შესასრულებელ ამოცანაზე.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემაჯალ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ძირითად რესურსთან ერთად მიეთითოს დამხმარე სასწავლო რესურსიც.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ გადმოგზავნილი შესაბამისობის გეგმა და თანმხლები დოკუმენტაცია, რის შედეგადაც გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

ინდიკატორი 1.2.1.2 (სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს). სტრატეგიული გეგმის დამტკიცება განხორციელდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის სხდომის ოქმი N8, რომლის საფუძველზეც აღმოფხვრილ იქნა ტექნიკური შეცდომა სტრატეგიული გეგმის დამტკიცების პროცედურებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება სკოლაში ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ინდიკატორი 1.2.1.2. შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.4.1.1. (სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის). დაწესებულებას არ ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის მიზნით შესაბამის უწყებასთან მიმართვის დოკუმენტი (09.10.2024წ); ასევე შესაბამისობის გეგმის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ ორგანოსთან (შესრულების ვადა 19.09.2024-15.05.2025); წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად. შესაბამისობის გეგმის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებას 2025 წლის 13 მაისისთვის. ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.4.1.2. (სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას).

- სკოლას არ ჰქონდა პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა;



- სკოლას არ ჰქონდა ექიმის მიერ წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრული ფორმების შესაბამისად;
- სკოლას არ ჰქონდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო მედიკამენტები;
- სკოლას არ ჰქონდა დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრული ფორმების შესაბამისად.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი ფოტო-მასალა, მედიკამენტებისა და შიომის მიღება-ჩაბარების აქტები. წარმოადგინა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმები, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმები. ინდიკატორი 3.4.1.2. შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.5.1.3. (სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით). ყველა წიგნი არ იყო საბიბლიოთეკო წესის მიხედვით დამუშავებული; დაწესებულებას არ ჰქონდა სარეგისტრაციო ჟურნალი წიგნადი ფონდის აღრიცხვისთვის, რაც განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის მუშაობის წესის შესაბამისად (მუხლი 13). ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში აღრიცხული უნდა იყოს ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, წიგნის ღირებულება (ფასი) და შენიშვნა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი ფოტო-მასალა (საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული წიგნები, სარეგისტრაციო ჟურნალი). ინდიკატორი 3.5.1.3. შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.5.1.4. (სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.) შიდა სივრცეში არ არის პანდუსი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, დაწესებულებაში შიდა სივრცეში პანდუსების მოწყობა უზრუნველყოფილ იქნება 09.19.2026. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან შესაბამისი კორესპონდენცია. ინდიკატორი 3.5.1.4. შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლებიც ორიენტირებულია სკოლის განვითარებაზე. მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მისიას ემყარება სასკოლო სასწავლო გეგმა და იგი წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. (პედ. საბჭოს ოქმი N1, 12.01.2024წ). სკოლის მისიას უზრუნველყოს ურთიერთპატივისცემითა და თანამშრომლობით უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემო. აღზარდოს თავისუფალი, პატრიოტი, კრიტიკული აზროვნების მქონე მოქალაქე, რომელსაც შესწევს უნარი თანაბარ და კონკურენტუნარიან პირობებში წარმოაჩინოს და უწყვეტად განივითაროს საკუთარი შესაძლებლობები. სკოლის ხედვის თანახმად, სკოლა ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების მუდმივ დაკმაყოფილებაზე. მოსწავლეები, მასწავლებელთა კვალიფიციური და მოტივირებული გუნდის დახმარებით, შეძლებენ გამოიმუშაონ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რასაც გამოიყენებენ ახალი მატერიალური, ინტელექტუალური და სულიერი ღირებულებების შესაქმნელად, რათა უზრუნველყონ ქვეყნისა და საქართველოს თითოეული მოქალაქის სრულფასოვანი ცხოვრების მხარდაჭერა.

სკოლის ღირებულებებს წარმოადგენს-გუნდურობა, ურთიერთთანამშრომლობა, ღიაობა, პასუხისმგებლობა, თანასწორობა, ინოვაციური მიდგომები და წარსული გამოცდილების გათვალისწინება. **ინდიკატორი 1.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლას აქვს ახლად რეაბილიტირებული შენობა (ვიზიტის პერიოდისთვის სკოლა ახალი გადმოსული იყო შენობაში), რომელშიც შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო, როგორც ფიზიკური, ისე სოცო-კულტურული კუთხით. სკოლის მისიაა უზრუნველყოს ურთიერთპატივისცემითა და თანამშრომლობით უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემო. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად.

ინდიკატორი 1.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის შესახებ (ბრძ. N2-413, 30.10.2023; პედ. საბჭოს ოქმი N1, 12.01.2024წ; კითხვარები მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის). სკოლამ წარმოადგინა მოქმედი მისია, ხედვა, ღირებულებები და განმარტა, რომ აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მისიის შემუშავების მეთოდოლოგია და გარკვეული სახის პრაქტიკა, კერძოდ, დაწესებულებამ განახორციელა გამოკითხვა, ჩაატარა არა ერთი შეხვედრა მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან, დაადგინა მათი მოლოდინები და პრიორიტეტები, გამოიკითხა თუ რა ღირებულებებს ანიჭებდა უპირატესობას სკოლის თემი და ამის საფუძველზე შეიმუშავა მისია და ხედვა საბოლოო სახით. შესაბამისად **ინდიკატორი 1.1.1.3.**

აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის ადმინისტრაციის თქმით, სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები მიწოდებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის (ელექტრონული, სიტყვიერი და ვებგვერდზე განთავსებით). სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 12 იანვარს (ცვლილების ოქმი N1) პედაგოგიური საბჭოს მიერ, მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. სხდომის ოქმი აღწერს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებზე მსჯელობისა და სამუშაო ვერსიის შემუშავების პროცესებს. აღნიშნული გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შესაბამისად **ინდიკატორი 1.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე (სასწავლო გეგმის შესავალ ნაწილში). ასევე სექტემბერში სკოლის საინფორმაციო დაფაზეც იქნება გამოკრული. ვიზიტის პერიოდში ამის ნახვა ვერ მოხერხდა, რადგან სკოლა რეაბილიტაციის შემდეგ ახალი დაბრუნებული იყო სკოლის შენობაში. **ინდიკატორი 1.1.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება: ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 1.1.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯაროს სკოლის დირექტორის „სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯაროს სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ 2023 წლის 30 ოქტომბრის N2-413 ბრძანება;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (10.09.2024წ. ბრძ. N2-222);
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1 30.10.2023;
- პედ. საბჭოს ოქმი N1; 12.01.2024წ;
- სკოლის ვებგვერდი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- კითხვარები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძ. N2-222; 10.09.2024წ), რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინებისათვის საჭირო პროცედურები და მექანიზმები. **ინდიკატორი 1.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმა უნდა დამტკიცდეს სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი კი შეთანხმებული იყო სამეურვეო საბჭოზე და დამტკიცებული პედ.საბჭოს მიერ. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტექნიკური შეცდომა იყო. თავად სტრატეგიული გეგმა მოიცავდა სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და შეესაბამებოდა დაწესებულების მისიას. ხოლო სტრატეგიული მიზნის რეალიზების გზად წარმოდგენილი იყო ამოცანები. შესაბამისად, დგინდება კორელაცია აღნიშნულ გეგმასა და სკოლის ფილოსოფიას შორის. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიული გეგმის დამტკიცების პროცედურა არასწორად იყო დარეგისტრირებული (ზემოაღნიშნული უზუსტობის გამო), ექსპერტთა ჯგუფი აზრით, დარღვეული იყო სტრატეგიული გეგმის დამტკიცების პროცედურა, რის გამოც ინდიკატორი ვერ იქნა დამკაყოფილებული.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოდგინა სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის სხდომის ოქმი N8, რომლის საფუძველზეც აღმოფხვრილი იქნა ტექნიკური შეცდომა სტრატეგიული გეგმის დამტკიცების პროცედურებთან დაკავშირებით. აქედან

გამომდინარე, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება სკოლაში ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ინდიკატორი 1.2.1.2. შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა სრულ შესაბამისობაში და აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024წ), რომელიც სრულად შეესაბამება 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორიენტირებულია მასში გამოკვეთილი პრიორიტეტის შესრულებაზე. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2024-2025წწ) პროექტი. ინდიკატორი 1.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. იგი წარმოდგენილია ცხრილის ფორმით და ასახავს ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაციას: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. ინდიკატორი 1.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმის მეთოდოლოგია (ბრძ. N2-222; 10.09.2024წ);
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- 2023-2024წლის სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის სხდომის ოქმი N8.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინდიკატორი 1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

სკოლას შემუშავებული აქვს აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტურია სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. ინდიკატორი 1.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*.

პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი ვერ შეფასდება.

ინდიკატორი 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*.

სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-12 მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა. პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

ინდიკატორი 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (2023 წლის 25 აგვისტოს ბრძ. N2-322) დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ დოკუმენტში ექსპერტთა რჩევით დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა (ბრძ. N2-217. 2024 წ. 09 სექტემბერი) მცირედი ტექნიკური უზუსტობის აღმოსაფხვრელად, რითაც შესაბამისობაში მოიყვანა აღნიშნულ დოკუმენტში თანამდებობრივი პოზიციების დასახელება, რომლებიც გვხვდებოდა შინაგანაწესში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში.

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი; დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციული მიმართულებით, დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი, დარაჯი

(3), მუშა, დამლაგებელი (7), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (8), ცეცხლფარეში. აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები (7), მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მათი ფუნქციები გაწერილია სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებში და კოლეგიალური ორგანოს შესაბამის დებულებებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თუ რა ეკრძალებათ დასაქმებულებს და რისი უფლება აქვთ მათ სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის თანამშრომლებს შესასრულებელი ფუნქციების შესახებ ეცნობებათ ხელშეკრულების გაფორმებამდე და მხარეთა შეთანხმების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზით, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების შესწავლით, დასტურდება, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა თუ კონკრეტულ პოზიციაზე მყოფი პირების ვინაობა, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ფუნქციათა აღრევის პრევენციულ ღონისძიებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძ. 2023 წლის 25 აგვისტოს N 2-322);
- ბრძანება სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებში ცვლილების შესახებ (ბრძ. N2-217; 2024წ. 09 სექტემბერი);
- emis-ბაზის მონაცემები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პირადი საქმეები;

- საშტატო განრიგი;
- კათედრის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძ. N2-343. 2023წ 07 სექტემბერი);
- პედაგოგიური საბჭოს დებულება (ბრძ. N1/კ-83. 2023წ. 30 აგვისტო);

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კადრების შერჩევის, თანამშრომლეთა ადაპტაციის ეტაპები და შესაბამისი აქტივობები, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების, სამუშაოს ხარისხის მართვის და ხელშეკრულების შეწყვეტის მექანიზმები. გარდა ხსენებული დოკუმენტისა, პერსონალის მართვის მექანიზმები ჩადებულია სკოლის შინაგანაწესსა და სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობას დასაქმებული ადასტურებს საკუთარი ხელმოწერით.

ინდიკატორი 3.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებას. როგორც სკოლის ადმინისტრაცია განაცხადა ექსპერტებთან, სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე, საჭიროებისამებრ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების სტაბილურად შენარჩუნება, მათი ადაპტაცია, ინტეგრაცია და მოტივაცია სამუშაო გარემოში, ღირებულებებისა და ფასეულობების გაზიარება, თანამშრომელთა შორის კომუნიკაციისა და არაფორმალური ურთიერთობების წახალისება. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია როგორ ხდება პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი 3.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ინდიკატორი 3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით.**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N7, 2023წ. 06 სექტემბერი), თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტის (ბრძ. 2023 წლის 25 აგვისტოს N 2-322) შესაბამისად, დაწესებულებაში პერსონალის და მასწავლებლების შერჩევა მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, კონკურსის საფუძველზე. მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/5 ბრძანების შესაბამისად. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკონკურსო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (ვაკანსიის განაცხადები შესაბამის პორტალზე, კონკურსის ოქმები, დირექტორის ბრძანებები). უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შენობის სრული რეაბილიტაციის გამო, დაწესებულება ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე იყო გადმოსული შენობაში, პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებული იყო - საქაღალდეებში წარმოდგენილი იყო საჭირო დოკუმენტაცია. კერძოდ, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ყველა თანამშრომლის პირად საქმეში იყო CV, დიპლომი, სერტიფიკატები, კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები, კერძოდ, „ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული „უფლების ჩამორთმევის“ ცნობები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკონკურსო კომისიის ოქმში (2023წ. 13 სექტემბერი, ოქმი N2) იყო ტექნიკური უზუსტობა, რაც დაწესებულების მიერ ვიზიტის პერიოდშივე იქნა გასწორებული. კერძოდ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმი (2024წ. 09 სექტემბერი), რომლითაც დასტურდებოდა ტექნიკური შეცდომის გასწორება, რაც უკავშირდებოდა კონკურსანტების მეორე ეტაპზე გამოცხადების საკითხს. **ინდიკატორი 3.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში (ბრძ. 2023 წლის 25 აგვისტოს N 2-322) დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლები შერჩეული არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი:

კერძოდ: უფროსი მასწავლებელი-52, წამყვანი-8, მენტორი-2, სპეც.მასწავლებელი-2. სკოლაში ასევე დასაქმებულია 8 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. რაც შეეხება ექიმს, ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 1 ექიმი. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის საარეგისტრაციო ჟურნალში. **ინდიკატორი 3.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლაში არსებული კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიები და ჯგუფები მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

როგორც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტთა მიერ დადგინდა, სასკოლო სასწავლო გეგმისა და საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. ისინი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებთან დაკავშირებით, რათა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული სასკოლო თემის საჭიროებები. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც იკრიბება, აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებასთან, დისციპლინურ კომიტეტში წარმომადგენლის არჩევასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა, სკოლის რეაბილიტაციის პერიოდში, იმის გამო, რომ სკოლა მეორე ცვლაში იმყოფებოდა სხვა სკოლის შენობაში, განსაკუთრებული აქტივობით ვერ გამოირჩეოდა თვითმმართველობა. უნდა აღინიშნოს ის, რომ რეაბილიტირებულ შენობაში გამოყოფილია საკმაოდ დიდი სივრცე კოლეგიალური საქმიანობის წარმართვისთვის. კათედრის წევრები, დირექტორის მოადგილე და ხარისხისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე, ახდენს განმავითარებელ შეფასებას და აძლევს რეკომენდაციებს. მასწავლებლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, შედეგების გასაუმჯობესებლად ესწრებიან ტრენინგებს, სკოლამ სამუშაო ჯგუფის დონეზე დანერგა სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, განხორციელდა შესაბამისი კვლევები და კითხვარები, გამოიკვეთა პრიორიტეტები და შეიქმნა სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. სკოლაში იგრძნობა ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების პრაქტიკა. **ინდიკატორი 3.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N7, 2023წ. 06 სექტემბერი) ერთ-ერთი ამოცანაა დასაქმებულთა მუდმივი მოტივაცია (მუხლი 16). ამისთვის, სკოლა ახორციელებს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და სასკოლო საზოგადოებაში გაზიარების აქტივობებს. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისების მექანიზმი (შინაგანაწესი: მუხლი 10-დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი) ყველა წარმატებული მცდელობა დაფასებულია მადლობის წერილით ან სიგელით, ფულადი პრემიით. **ინდიკატორი 3.1.2.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძ. 2023 წლის 25 აგვისტოს N 2-322);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N7, 2023წ. 06 სექტემბერი);
- emis-ბაზის მონაცემები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძ. N2-343; 7 სექტემბერი 2023წ.);
- პედაგოგიური საბჭოს დებულება (ბრძ. N1/კ-83, 30 აგვისტო 2023წ.);
- კათედრის დებულება (ბრძ. N1/კ-58; 05 სექტემბერი 2022წ.);
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. N2-349; 07 სექტემბერი 2023წ.);
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება;
- კონკურსის მასალები;
- პირადი საქმეები;
- კათედრის ოქმები;
- სამოქმედო გეგმები;
- კითხვარები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



შეესაბამება



მეტწილად შეესაბამება



ნაწილობრივ შეესაბამება



არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N7, 2023წ. 06 სექტემბერი) ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას (მუხლი 13; 14). პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით, დაწესებულების პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების მოწყობა, გამოკითხვის ჩატარება, ინდივიდუალური საუბრების განხორციელება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, სასწავლო ჯგუფებში გაწევრიანება, მონიტორინგის ფორმები. ამ მეთოდების გამოყენებით ხდება საჭიროებების დადგენა, რომელთა საპასუხოდაც იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი 3.2.1.2. ვერ შეფასდება.

ინდიკატორი 3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

დაწესებულება ორიენტირებულია პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, რისთვისაც სკოლის დირექცია აქტიურად უწყობს ხელს პედაგოგებისა და თანამშრომლების კარიერულ ზრდას. დაწესებულებას ჰყავს სხვადასხვა სტატუსის მქონე მასწავლებლები, რომლებიც ზრუნავენ სტატუსის გაუმჯობესებაზე და ამისათვის აქვთ სკოლის სრული მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობაში, კრიტიკული მეგობრის ინსისტუტის დანერგვაში, რეგულარული სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო ჯგუფების ორგანიზებაში. პერსონალის პირად საქმეებში იყო სხვადასხვა ტრენინგების დამადასტურებელი სერტიფიკატები. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს ხელი შეუწყოს ასევე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს, დაესწრონ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარს და პროფესიულ კურსებს. **ინდიკატორი 3.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალი თანამშრომლის მიღებისას სკოლაში ადაპტაციის მექანიზმებს (მუხლი: 7, 8, 9). მასში დეტალურად არის აღწერილი ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები, რაც ემსახურება ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას ახალ გარემოში. სკოლის პერსონალი მოქმედებს დოკუმენტში წარმოდგენილი წესის შესაბამისად და ახალ თანამშრომელს აცნობენ სასკოლო კულტურას, წესებს და ტრადიციებს, უქმნიან ყველა პირობას თვითრეალიზებისა და პროფესიული წინსვლისთვის, ამღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ამ მიმართულებით, სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

ინდიკატორი 3.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად, მაგ: კათედრის ხელმძღვანელის მხრიდან ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პროფესიული განვითარების საჭიროების შესახებ ინიციატივის გამოხატვის შესაძლებლობას. ინიციატივა შეიძლება შეეხებოდეს ტრენინგების/კურსების/სემინარების თანადაფინანსებას, სპეციალისტის მოწვევას და სხვ. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლამ მხარი დაუჭირა პერსონალის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებს, რაც ემსახურებოდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. მაგ: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მიერ ინიცირებული იყო სამუშაო შეხვედრა თემაზე „დიფერენცირებული სწავლება, კრიტიკული აზროვნების განვითარების უნარები, მართული კითხვა“. რუსული ენის პედაგოგის მიერ განხორციელდა სამუშაო შეხვედრა კოლეგებთან, უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებთან Google Drive-ს გამოყენებასთან დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრის დასასრულს მონაწილეებმა გაზიარებულ ფაილში ერთობლივად შექმნეს სასწავლო კურიკულუმები. 2023 წლის 3-4 ოქტომბერს ჩატარდა ტრენინგი eTwinning პორტალზე რეგისტრაციასა და პროექტების ინიცირებასთან დაკავშირებით. კონსულტაცია გაეწიათ eTwinning პლატფორმაზე რეგისტრირებულ მასწავლებლებს (7 მასწავლებელი სხვადასხვა კათედრიდან); 2023 წლის 24-25 დეკემბერს ჩატარდა ტრენინგი

„მედიაციონერება და დეზინფორმაცია“ და სხვ. დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 3.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N7, 2023წ. 06 სექტემბერი);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძ. N2-343; 7 სექტემბერი 2023წ.);
- პედაგოგიური საბჭოს დებულება (ბრძ. N1/კ-83, 30 აგვისტო 2023წ.);
- კათედრის დებულება (ბრძ. N1/კ-58; 05 სექტემბერი 2022წ.);
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. N2-349; 07 სექტემბერი 2023წ.);
- მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება;
- სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალები;
- კათედრის ოქმები;
- გაკვეთილებზე დასწრების ფორმები;
- სამოქმედო გეგმები;
- კითხვარები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“-ის დოკუმენტი (ბრძ. N2-352, 07 სექტემბერი 2023წ.), რომლის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. ყოველივე ამისათვის სკოლამ მექანიზმად გაითვალისწინა დემინგის ციკლის სისტემა, ე.წ. PDCA მიდგომა: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-მოახდინე რეაგირება (განავითარე). სკოლა ხარისხის მართვის პროცესს წარმართავს ასევე სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, მაგ: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სხვა წესები. ყოველივე აღნიშნული ემსახურება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების შეუფერხებლად განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე მუშაობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს და მათზე დაყრდნობით წარმართავენ სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი 3.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში (ბრძ. N2-352, 07 სექტემბერი 2023წ.) გაწერილია სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესები და დამხმარე პროცესები, შესაბამისი აქტივობებისა თუ დოკუმენტების გაწერისა და დამტკიცების ვადები, შეფასების განხორციელების წესი და ვადები, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის, დასკვნის შედგენისა და უკუკავშირის მექანიზმები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა პროცესის მიზნობრივ მიმდინარეობას. პროცესებში აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაცია, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი 3.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის და მშობლების უფლებამოსილება, ასევე გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე „სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა“ (ბრძ. N2-359; 2023წ. 15 სექტემბერი), რომლითაც განსაზღვრულია საჩივრის/განცხადების პროცედურები, ვადები. ამავე დოკუმენტით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. გასაჩივრების მექანიზმების შესახებ სკოლას ინფორმაცია განთავსებული აქვს ვებგვერდზე და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბრძანებების გარკვეულ ნაწილში გასაჩივრების ადგილი შეცდომით იყო მითითებული, ხოლო ნაწილში სწორად იყო აღნიშნული. ამიტომ ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო **რჩევა**, რომ ბრძანებების სატიტულო ფურცლებზე ჩასწორდეს გასაჩივრების ადგილი. **ინდიკატორი 3.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მშობლის უფლებამოსილებები, ასევე აღწერილია მშობელთან ურთიერთობის დებულებაში (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. N2-349; 07 სექტემბერი 2023წ.);

შინაგანაწესის გარდა, სკოლაში მოქმედებს „სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა“ (ბრძ. N2-359; 2023წ. 15 სექტემბერი), რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილი განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი. სკოლას გასაჯაროებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები (შინაგანაწესი, „სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა“), ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი 3.3.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ. N2-352, 07 სექტემბერი 2023წ.);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძ. N2-343; 7 სექტემბერი 2023წ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძ. N2-359; 2023წ. 15 სექტემბერი);
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. N2-349; 07 სექტემბერი 2023წ.);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N7, 2023წ. 06 სექტემბერი);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება (ბრძ. N1/კ-83, 30 აგვისტო 2023წ.);
- კათედრის დებულება (ბრძ. N1/კ-58; 05 სექტემბერი 2022წ.);
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. N2-349; 07 სექტემბერი 2023წ.);
- მოსწავლეთა თვითმართვულობის დებულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.

სასკოლო საზოგადოების ეფექტურად ჩართვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძ. N2-448, 24.11.2023წ.); ასევე - მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. N2-349, 07.09.2023წ.). სასკოლო თემის

ინფორმირება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და მიმდინარე აქტივობების შესახებ, კომუნიკაცია და უკუკავშირის მიღება სკოლაში უწყვეტად და ეფექტურად მიმდინარეობს. ამისთვის სკოლა ორგანიზებას უწევს მშობელთა კრებებს, სამუშაო შეხვედრებს, გამოკითხვებს, კომუნიკაციას სხვადასხვა ციფრული არხების საშუალებით (ჯგუფები სოციალურ ქსელში, ონლაინ პლატფორმები). სკოლის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში აქვთ დამკვიდრებული ასევე ანონიმურად ინფორმაციის მიღება, რისთვისაც განთავსებულია სპეციალური ყუთი და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გააზიაროს თავისი მოსაზრება. გასაუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით. სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების მონაწილეობით ხდება ინიციატივების გენერირება და ერთობლივი დაგეგმვა/განხორციელება. **ინდიკატორი 3.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლების ჩართულობით განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, სკოლის ფილოსოფია, სკოლის განვითარების ერთწლიანი და შვიდწლიანი სამოქმედო გეგმები. პედაგოგიური საბჭო ასევე ამტკიცებს საფეხურებისა და საგნების შესაბამისად სახელმძღვანელოებიდან კათედრების მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების ნუსხას, იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით.

მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა ჩართულობის მიზნით ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და სკოლის დირექციას წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათი უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან.

საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები იღებენ გადაწყვეტილებას საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. აღნიშნული დასტურდება კათედრების ოქმებით და გასაუბრებით. **ინდიკატორი 3.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძ. N2-448, 24.11.2023წ);
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) (ბრძ. N2-349, 07.09.2023წ).
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/წესი;

- კითხვარების ანალიზი;
- მოსწავლეთა თვითმართვულობის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;



4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).

სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს დარაჯი (3). ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის შენობის შემოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლას ჰყავს მანდატურები (3), რომლებიც ზედამხედველობენ ფიზიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას.

სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები (ბრძ. N2-351, 2023წ. 07 სექტემბერი). სკოლის შინაგანაწესში გაწერილია უსაფრთხოების რეგულაციები.

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა სამეთვალყურეო უსაფრთხოების სისტემა უზრუნველყოფილი, თუმცა წარმოადგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაკეთებული განაცხადი აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად (27.06.2024; MES 5 24 0000760984).

სკოლას არ ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.

დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, თუმცა განაცხადთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის საფუძველზე დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების

დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების შესაბამისად (01.07.2025). ამასთან დაკავშირებით სკოლამ 2024 წლის 10 სექტემბერს განცხადებით (რეგისტრაციის ნომერი: 10077323224) მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს.

სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის საფუძველზე დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამისობის გეგმაში გაწერილი თარიღების შესაბამისად (01.07.2025). დაწესებულებამ წარმოადგინა განცხადება შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავების მიზნით. (05.09.2024წ).

სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ინდიკატორი არ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა:

- შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის მიზნით შესაბამის უწყებასთან მიმართვის დოკუმენტი (09.10.2024წ);
- ასევე შესაბამისობის გეგმის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ ორგანოსთან (შესრულების ვადა 19.09.2024-15.05.2025). წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად.
- შესაბამისობის გეგმის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებას 2025 წლის 13 მაისისთვის.

ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი (ბრძ. N2-350, 07.09.2023წ). სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო ექიმის კაბინეტი, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა. გადასატანი/მოხილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებული იყო პირველადი მოხმარების მედიკამენტების საკმაოდ მწირი რაოდენობა. ასევე არ ჰქონდა მაცივარი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის რეაბილიტაციის პროცესებთან დაკავშირებით ადგილზე არ იყო დაბრუნებული ყველა ინვენტარი, მათ შორის მაცივარი. თუმცა ინვენტარიზაციის დოკუმენტით დასტურდებოდა სამედიცინო კაბინეტისთვის მაცივრის ფლობა.

ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 1 ექიმი. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გაიცა რჩევა დაწესებულების მიერ ერთი სამედიცინო პერსონალის დამატების შესახებ.

- სკოლას არ ჰქონდა პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა;
- სკოლას არ ჰქონდა სკოლის ექიმის მიერ წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრული ფორმების შესაბამისად. ექიმმა წარმოადგინა გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ჟურნალი (რვეული), თუმცა იგი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრულ სააღრიცხვო ფორმას.
- სკოლას არ ჰქონდა დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრული ფორმების შესაბამისად.
- სკოლას არ ჰქონდა სავალდებულო მედიკამენტების საჭირო რაოდენობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ინდიკატორი ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი ფოტო-მასალა, მედიკამენტებისა და შირმის მიღება-ჩაბარების აქტები. წარმოადგინა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმები, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმები. ინდიკატორი 3.4.1.2. შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

სკოლაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება მანდატურის სამსახურის ჩართულობით, სკოლას ჰყავს 3 მანდატური, ასევე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები (ბრძ. N2-351, 2023წ. 07 სექტემბერი), რომლებიც სკოლის მანდატურებს ეხმარებიან საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაში. ამ მიმართულებით, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი კლასების დამრიგებლები. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ამ მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელზეც სისტემატურად მუშაობენ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათზე.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები (ბრძ. N2-354, 2023წ. 14 სექტემბერი), რომლებიც აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გამოცხადებას, რაც სკოლის შინაგანაწესით არის განსაზღვრული.

სკოლაში დადგენილია მასწავლებლების მორიგების განრიგი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს. მრჩეველთა საბჭოს ოქმებითა და სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი 3.4.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. ამისთვის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები (ბრძ. N2-445. 2023წ 24 ნოემბერი). უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ერთბლივად უზრუნველყოფენ საგნის პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა მხარდაჭერისაკენ. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებლები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოებასთან საჭიროებების შესაბამისად. დამრიგებლები ატარებენ სადამრიგებლო საათს, რომლის ფარგლებშიც დამრიგებელი, მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად, მუშაობს შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც. შესაბამისად **ინდიკატორი 3.4.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ბრძ. N2-289. 2021წ. 05 ოქტომბერი), რომელიც შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის, და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანების შესაბამისად.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 7 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ყველა სართულზე ინახება იზოლირებულად სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ იზოლირებულ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის, ხოლო პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით. **ინდიკატორი 3.4.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძ. N2-298, 21 ივლისი 2023წ.). სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით

(05დეკემბერი 2017წ. ბრძ. N2-1088) გამოყოფილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. თუმცა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სკოლამ უნდა იზრუნოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის აყვანაზე. სკოლის პასუხი იყო, რომ ისინი ელოდებიან შესაბამის ინსტრუქციებს სამინისტროსა და რესურს-ცენტრიდან, რის შემდეგაც დაარეგულირებელ ამ საკითხს. ექსპერტთა მიერ სკოლამ მიიღო **რჩევა** პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანის თაობაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. **ინდიკატორი 3.4.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“ (ბრძ. N2-298, 21 ივლისი 2023წ.). სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი და აგრეთვე, სკოლაში დასაქმებული სხვა პირები ფუნქციების შესაბამისად, რაც დეტალურად აღწერილია დოკუმენტში. სკოლის ხელთ არსებული ინფორმაცია ინახებოდა ადმინისტრაციისათვის (დირექცია და საქმისმწარმოებელი) განკუთვნილ ოთახში, მატერიალური და ციფრული ფორმით. სკოლა იყენებს ანტივირუსულ პროგრამებს, სარეზერვო ასლებს ინახავს გარე ვინჩესტერზე, რომელიც პერიოდულად ახლდება, ასევე სკოლის სერვერზე და google drive-ზე. სკოლას დაყენებული აქვს ფილტრი უსაფრთხო და დაცული საიტებით სარგებლობისათვის. სკოლა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. **ინდიკატორი 3.4.1.7. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე) პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში **ინდიკატორი 3.4.1.8. ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში გაკეთებული განცხადება (2024 წ.10.09. რეგისტრაციის ნომერი: 10077323224);
- წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში (27.06.2024; MES 5 24 0000760984);
- შესაბამისობის გეგმა;
- „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ბრძ. N2-289. 2021წ. 05 ოქტომბერი);



- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები (ბრძ. N2-298, 21 ივლისი 2023წ.);
- ბრძანება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ (ბრძ. N2-351, 2023წ. 07 სექტემბერი);
- ბრძანება უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ (ბრძ. N2-354, 2023წ. 14 სექტემბერი);
- 2017წლის ბრძ. N2-1088-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ (ბრძ. N2-445. 2023წ 24 ნოემბერი);
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მიღება-ჩაბარების აქტები;
- მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (09.10.2024წ);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უწყებასთან შეთანხმების კორესპონდენცია (10.10.2024წ);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 12224.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 7275.60 კვ.მ. სკოლის სრული რეაბილიტაცია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ განახორციელა და დასრულდა 2024 წლის ივნისის თვეში.

შენობა ოთხსართულიანია, სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც იმართება ეზოში კაპიტალურად მოწყობილი საქვებიდან. სკოლის შენობაში განთავსებულია დირექციის კაბინეტები, კანცელარია და ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, საკლასო ოთახები (თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ელექტრო განათებით), სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის ოთახი, სამეურნეო სათავსოები, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი გასახდელებით, სააქტო დარბაზი და საპირფარეშოები. საპირფარეშოები (მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე) განთავსებულია ყველა სართულზე გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. სკოლის ეზოში მოწყობილია 2 შემოსაზღვრული სპორტული მოედანი, რომელთა შორის ერთ-ერთი არის რეაბილიტირებული. სკოლის ეზო სრულად შემოსაზღვრულია და დაცულია უსაფრთხოება.

საკლასო ოთახები (36 საკლასო ოთახი) აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. სააქტო დარბაზში არის სკამები, სცენა. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებითა და პროექტორით. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი. სკოლა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით და პროექტორებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება ვარგის მდგომარეობაში არსებული 1378 ინდივიდუალური მერხი - სასწავლო პროცესი

ხორციელდება 2 ცვლაში. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, მულაჟებით, თვალსაჩინოებებით და სხვა საჭირო ნივთებით. სკოლის სრული რეაბილიტაცია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ განახორციელა. რეაბილიტირდა ფასადი, სახურავი, სველი წერტილები, სასწავლო და ადმინისტრაციული ოთახები, დერეფნები, კიბის უჯრედები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, შიდა და გარე სპორტული მოედნები. პროექტის ფარგლებში დასრულდა გათბობის, წყალ-საკანალიზაციო, ელექტრო გაყვანილობის სისტემა. **ინდიკატორი 3.5.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძ. N2-348, 07 სექტემბერი 2023წ). სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესების შესახებ. სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად (სამუშაო საათებში) შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ამ პროცესებში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს, სხვა რესურსებს. სკოლაში არსებული რესურსოთახი სრულადაა აღჭურვილი სათანადო ინვენტარითა და რესურსით და მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ შეუზღუდავად. სსსმ მოსწავლეები სარგებლობენ რესურსოთახით, ყველა საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების გადაწყვეტილებით, სკოლის შენობის ფოეში (მე-2 სართ.) მოწყობილია ზონა დებატებისთვის (მოსწავლეებისთვის), რაც სკოლის ადმინისტრაციამ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გამოკითხვის შედეგად გადაწყვიტა. ადმინისტრაციის განცხადებით, აღნიშნული ხელს შეუწყობს სკოლის თემში სოციო-კულტურული მიკუთვნებულობის გაზრდას.

ამგვარად, სკოლის მატერიალური რესურსი ეფექტურად არის ათვისებული და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (ბრძ. N2-347. 2023 წ. 07 სექტემბერი). ბიბლიოთეკა განთავსებულია მეორე სართულზე. ერთ სივრცეშია მოწყობილი წიგნსაცავი და სამკითხველო სივრცე. საცავში წიგნები განთავსებულია თემატურად. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის რეაბილიტაციის გამო ვიზიტის პერიოდში არ იყო ბიბლიოთეკის კეთილმოწყობის პროცესი დასრულებული, კერძოდ სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება კომპიუტერისა და პრინტერის შეტანა ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს მრავალფეროვან ლიტერატურას და სასკოლო სახელმძღვანელოებს. მოსწავლეებს შესაბამისი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში ეხმარება სკოლის ბიბლიოთეკარი. საბიბლიოთეკო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების დოკუმენტები. როგორც ექსპერტთა მიერ შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმებისას აღმოჩნდა და თავად ბიბლიოთეკარმაც ექსპერტებთან აღნიშნა, **ყველა წიგნი არ იყო საბიბლიოთეკო წესის მიხედვით**

დამუშავებული. ამასთანავე, დაწესებულებას არ ჰქონდა სარეგისტრაციო ჟურნალი წიგნადი ფონდის აღრიცხვისთვის, რაც განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის მუშაობის წესის შესაბამისად (მუხლი 13). ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში აღრიცხული უნდა იყოს ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, წიგნის ღირებულება (ფასი) და შენიშვნა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ექსელის ფაილში ინფორმაცია წიგნადი ფონდის შესახებ, თუმცა ისიც ვერ ასახვდა იმ ინფორმაციას, რაც გათვალისწინებული იყო წიგნადი ფონდის რეგისტრაციისთვის. ვიზიტის პერიოდში ინდიკატორი ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი ფოტო-მასალა. ინდიკატორი 3.5.1.3. შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 39 სსსმ მოსწავლე, მათ შორის 1 ეტლით მოსარგებლე. ამიტომ სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის საჭირო ყველა ტიპის რესურსის შევსებასა და განახლებაზე. სკოლა სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს სწავლების ინკლუზიურობას. კერძოდ, შენობის შესასვლელი ადაპტირებულია (პანდუსებით არის უზრუნველყოფილი), სკოლას აქვს საჭირო სასწავლო მასალებით და ინვენტარით აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. ექიმის ოთახიც განთავსებულია პირველ სართულზე. ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო დარბაზი განთავსებულია მეორე და მესამე სართულებზე. ყველა სართულზე მოწესრიგებულია ადაპტირებული სველი წერტილები ვაჟებისა და გოგონებისთვის.

თუმცა, შიდა სივრცეში კი არ იყო პანდუსი სართულებზე ასასვლელად. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ამ საკითხის მოსგვარებლად მიმართა შესაბამის სტრუქტურებს სკოლაში პანდუსების ან/და ლიფტის უზრუნველყოფის მიზნით. წარმოადგინა შესაბამისი კორესპონდენცია (კორესპონდენცია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან (26.01.2024წ. MES 6 24 0000074707); გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის კორესპონდენცია (31.01.2024წ. MES 6 24 0000092923). აღნიშნული კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გათვალისწინებული იქნება სსიპ - ქალაქ თბილისის №160 საჯარო სკოლაში ლიფტის მოწყობის საკითხის განხილვა. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე და სკოლაში არ არის სრულად უზრუნველყოფილი საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ინდიკატორი ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, დაწესებულებაში შიდა სივრცეში პანდუსების მოწყობა უზრუნველყოფილ იქნება 09.19.2026. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან შემოსული წერილის პასუხი N92923. ინდიკატორი 3.5.1.4. შეფასებიდან „არ შეესაბამება“ გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლის სააქტო დარბაზი გამოიყენება სამუშაო შეხვედრებითვის, საზეიმო ღონისძიებებისთვის, ინტელექტუალური ვიქტორინების, პროექტების, პრეზენტაციების, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრების ჩასატარებლად. სპორტულ დარბაზში ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, მხიარული სტარტები და სხვა. სკოლას აქვს ასევე ახლად რეაბილიტირებული სპორტული მოედანი და ასევე მეორე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, სათანადო ინვენტარით. სკოლის შენობაში მოწყობილია სარეკრეაციო სივრცეები. იგეგმება სკოლის დერეფნების საგამოფენო სივრცეებად გამოყენება. ამგვარად, მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს აქვთ საშუალება განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი 3.5.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- შენობის აზომვითი ნახაზები;
- კორესპონდენცია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან (26.01.2024წ. MES 6 24 0000074707);
- გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის კორესპონდენცია (31.01.2024წ. MES 6 24 0000092923);
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (ბრძ. N2-347; 07 სექტემბერი 2023წ);
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძ. N2-348; 07 სექტემბერი 2023წ);
- ბიბლიოთეკის სარეგისტრაციო ჟურნალები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა „სკოლის ციფრული განვითარების გეგმა“, რომლის თანახმად, დაწესებულების ციფრული განვითარება გულისხმობს, ერთი მხრივ, კომპიუტერული ტექნიკის შეძენას და მეორე მხრივ, მონაცემების შეგროვება/დამუშავებას. ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას ჰქონდა საკმარისი რაოდენობის სტაციონალური კომპიუტერები (32), პორტატული კომპიუტერი (107), პროექტორი (27); პრინტერი (8).

სკოლა ფლობს კომპიუტერულ ლაბორატორიას, რომელიც აღჭურვილია 29 პერსონალური კომპიუტერით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ახალი სასწავლო წლიდან უკვე რეაბილიტირებული სკოლის პირობებში ბიბლიოთეკა აღჭურვილი იქნება კომპიუტერული ტექნიკით, რომელსაც აქტიურად გამოიყენებენ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები.

სკოლას ჰყავს კვალიფიციური საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, კათედრების მიხედვით მასწავლებლები სასწავლო მიზნებისთვის სარგებლობენ მათთვის

გადაცემული ლექტოპებით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი 3.6.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც მოეწყობა სამუშაო სივრცეები, სადაც მასწავლებლები იმუშავენ წინასწარ შეთანხმებული განრიგით. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძ. N2-348, 07 სექტემბერი 2023წ). აღნიშნული წესების თანახმად (მუხლი 5), კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელი უფლებამოსილია შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე; მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებ-გვერდით; იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე; დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის და ა.შ.

ბიბლიოთეკის სივრცეში ბიბლიოთეკარი, ხოლო კომპიუტერულ ლაბორატორიაში - საინფორმაციო მენეჯერი უზრუნველყოფენ კომპიუტერულ ტექნიკასთან მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაშვებას და უსაფრთხოდ გამოყენებას. მომხმარებლები ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში ინფორმაციას აწვდიან საინფორმაციო მენეჯერს, რომელიც ეხმარება მათ. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკაში არ იყო შეტანილი კომპიუტერი, თუმცა, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რეაბილიტაციის შემდეგ სრულად ვერ მოესწრო ბიბლიოთეკის სამუშაო გარემოს ტექნიკური აღჭურვა, მაგრამ დაგეგმილი იყოს კომპიუტერისა და პრინტერის შეტანა ბიბლიოთეკაში.

ინდიკატორი 3.6.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძ. N2-348, 07 სექტემბერი 2023წ).
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის გაგზავნილი წერილი და ციფრული განვითარების გეგმა;
- სკოლის მიერ კომპიუტერების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2023 წლის 30 ოქტომბრის N2-410 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია; ბრძანებების მომზადების, გაფორმების, გამოცემის და მათი აღრიცხვის წესი; ოქმის, წერილის, ცნობის გაფორმების წესი; ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი და ა.შ.

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (E-flow). სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მისთვის მინიჭებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით იგი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას. კერძოდ: ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, აგრეთვე, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა.

საქმისწარმოების დროს შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაცია ტარდება E-flow-ს ელექტრონულ სისტემაში და ენიჭება უნიკალური ნომერი. გამონაკლისს წარმოადგენს ბრძანების გამოცემა, რომელსაც თანმიმდევრული წესით ენიჭება ნომერი, ფორმდება და შემდეგ ხდება მისი ატვირთვა E-flow-ს ელექტრონულ სისტემაში. ბრძანებისთვის ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში და ბრძანებები ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. **ინდიკატორი 3.6.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

სკოლა აქტიურად იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას. სკოლას გააჩნია ოფიციალური ელექტრონული ფოსტა tbilisi160@mes.gov.ge რომლის მეშვეობითაც კონტაქტობენ როგორც ორგანიზაციებთან (მათ შორის რესურსცენტრთან), ისე კერძო პირებთან (საჭიროების

შემთხვევაში). აღნიშნულის გარდა სკოლა მუშაობს eflow-ში, იღებს და აგზავნის მონაცემების შემცველ კორესპოდენციებს. სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება teams-ის პლატფორმაზე. მიერ. **ინდიკატორი 3.6.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **ინდიკატორი 3.6.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. **ინდიკატორი 3.6.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (2023 წლის 30 ოქტომბრის ბრძ. N2-410);
- საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;
- საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;
- შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;
- საჯარო სკოლების პორტალი;
- eflow-ს და Eschool-ის ბაზა;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის სკოლა იყენებს ვებ-გვერდისა, ოფიციალურ სოციალური ქსელსა და სხვა საკომუნიკაციო არხებს. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (2023წ.24 ნოემბრის N2-448 ბრძ.), რომლითაც განისაზღვრება საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები, ინფორმაციის გავრცელების რესურსები, შიდა და გარე კომუნიკაციის ფორმები, ოფიციალური ინფორმაციის გაცემის წესი, უკუკავშირის შედეგები და ანალიზი.

დაწესებულება საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/5?schoolName> სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი <https://www.facebook.com/160sajaroskola> სადაც მუდმივად თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი - ეს სივრცე არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავსდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მშობლებს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში აქტიურადაა დანერგილი უშუალო კომუნიკაციის პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების წევრებს

შორის. პერიოდულად სკოლის დირექციის უშუალო მონაწილეობით იმართება შეხვედრები მშობლებთან. **ინდიკატორი 3.6.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

სკოლის ვებგვერდზე და ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი 3.6.3.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლამ სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირი შეიძლება მიიღოს დამრიგებლების მშობლებთან კომუნიკაციის მეშვეობით, კრებების მეშვეობით, facebook ჯგუფებიდან, ანონიმური კითხვარებიდან, სამუშაო შეხვედრებიდან და სხვა საშუალებით. შესაბამისი საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციას სკოლა იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი 3.6.3.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლაში სწავლების ენა არის ქართული. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას აქვს ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/5?schoolName> რომელზეც განთავსებულია ინდიკატორით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაცია, როგორიცაა: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), შინაგანაწესი, სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძ. N2-359; 2023წ. 15 სექტემბერი); მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/5?schoolName>
- სკოლის სოც.გვერდი <https://www.facebook.com/160sajaroskola>
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (2023წ.24 ნოემბრის N2-448 ბრძ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძ. N2-359; 2023წ. 15 სექტემბერი);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია მისი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა. სკოლის ბიუჯეტი შესაბამისობაში უნდა იყოს სამოქმედო გეგმასთან. სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით (1187 მოსწავლე). გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების (39 მოსწავლე) რაოდენობით განისაზღვრება. ზემოხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა სხვა შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან. ექსპერტებთან საუბრისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შუამდგომლობით მიმართეს გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის შენობის (სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი) 527.2 კვ.მ.(270.9 კვ.მ 1 წლის ვადით, ხოლო 256.3 კვ.მ 3 წლის ვადით) იქ არსებული მოძრავი ქონებით ნებადართული საქმიანობების ნუსხით გათვალისწინებული საქმიანობების განსახორციელებლად მესამე პირზე იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მისაღებად (გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან კორესპონდენცია 09.09.2024წ. MES 9 24 0001090387). სკოლის მიერ დამატებით მოპოვებული შემოსავალი, დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, მოხმარდება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებას. არსებული მდგომარეობით, სკოლა არსებული ფინანსური მდგომარეობით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების უზრუნველყოფას. ხორციელდება სხვადასხვა რესურსების შეძენა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა. **ინდიკატორი 3.7.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს კანონმდებლობის შესაბამისად, პერიოდულად ახორციელებს ბიუჯეტის მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები და კალენდარული წლის ბოლოს, 10 დეკემბრამდე, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, ისე ფინანსური საქმიანობის შესახებ. **ინდიკატორი 3.7.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- ბიუჯეტის ანგარიში 08.12.2023წ., MES 1 23 0001672087;

- შესყიდვების დოკუმენტაცია;
- წლიური ფინანსური ანგარიშის დოკუმენტი;
- გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან კორესპონდენცია 09.09.2024წ. MES 9 24 0001090387;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები: შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, პასუხისმგებლობები. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესს და პირობებს. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურები (ბრძ. N2-359. 2023წ. 15 სექტემბერი); სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, რომელთა საქმიანობა მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის სადაც მშობლის მიერ ხელმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს სამართლებრივ რეაგირებას დარღვევებზე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, დაცულია სსსმ მოსწავლეთა უფლებები. ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტით დგინდება, რომ სკოლა შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას: მათი შესაძლებლობის რეალიზებისთვის სკოლაში უზრუნველყოფილია, როგორც კლასში საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისი ადამიანური (სპეციალური პედაგოგი, ასისტენტი), ფიზიკური (რესურს ოთახი) და მატერიალური (ადაპტირებული სასწავლო მასალა) რესურსით. **ინდიკატორი 4.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლის მიერ დამრიგებლების მეშვეობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის წესების, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასის საათის განმავლობაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს სკოლის შინაგანაწესს და სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს, კლასების დამრიგებლები რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით, რაც გათვალისწინებულია სკოლის მიერ შემუშავებული დამრიგებლის მუშაობის დებულებით (ბრძ. N2-344. 2023წ.07 სექტემბერი); **ინდიკატორი 4.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ და დეტალურადაა გაწერილი სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების მექანიზმები. ხელშეკრულება მოიცავს ასევე სასწავლო დროის და დასვენების დროის რეგულირებას.

მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი სახელმძღვანელოებისა და ასევე ბუკის გადაცემის მიზნით. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და მოიცავს შემდეგ პუნქტებს: მხარეთა უფლება-მოვალეობებს,

რეგულირებას მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების და გასვლითი ღონისძიებების შესახებ; ინფორმაციას სასწავლო დროის, დასვენებისა და უქმე დღეების შესახებ; ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს; დამატებით პირობებს და მხარეთა რეკვიზიტებს. **ინდიკატორი 4.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ბრძანება სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურების დამტკიცების შესახებ (ბრძ. N2-359. 2023წ. 15 სექტემბერი);
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მიღება-ჩაბარების აქტი სახელმძღვანელოების გადაცემაზე;
- მიღება-ჩაბარების აქტი კომპიუტერების გადაცემაზე;
- სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება (ბრძ. N2-344. 2023წ. 07 სექტემბერი);

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები.

სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ ინფორმირებას. კერძოდ, სკოლაში მოსულ პირს, სკოლის საქმის მწარმოებლის მიერ მიეწოდება საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა პროცედურის ფარგლებში სკოლაში წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის შესახებ. გარდა ამისა, პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის/ჩარიცხვის ვადები, ეტაპები და პროცედურები გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. **ინდიკატორი 4.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).

პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი 4.1.2.2. ვერ შეფასდება.

ინდიკატორი 3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები, რომელთაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს კონკრეტულ სასწავლო წელს. სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სხვადასხვა წრე მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული წრის მოქმედების ვადები, მიღების პირობები და საფასური განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით. დაინტერესებული პირებისთვის ბრძანების გაცნობა ევალება სკოლის საქმისმწარმოებელს, რომელიც ინფორმაციას აწვდის კლასის დამრიგებლებს, ისინი კი, თავის მხრივ, ინფორმაციას აწვდიან თავიანთი სადამრიგებლო კლასის

მოსწავლეთა მშობლებს. სკოლის წარმომადგენლებმა როგორც აღნიშნეს, 2024-2025 სასწავლო წელს მოსწავლეებს შესთავაზებენ უფასო კლუბების სახით: ლიტერატურული კლუბი ყველა საფეხურისთვის; რა სად, როდის-ინტელექტუალური კლუბი, საბუნებისმეტყველო მიმართულებით პროექტი საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი წრის სახით: ქართული ცეკვის წრეს, კალათბურთს, ტანვარჯიშს. გარდა ამისა, IV კლასის ბოლოს, სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აძლევს მეორე უცხოური ენის არჩევის შესაძლებლობას. მშობლები მშობელთა კრებაზე აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებას და ამის საფუძველზე ირჩევა შესაბამისი ენა. **ინდიკატორი 4.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ინდიკატორი 4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის დირექციის განმარტებით დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის ვებგვერდის და სოციალურ ქსელს. დამრიგებლების მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრებისა და დახურული ჯგუფების მეშვეობით ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვს შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია დაგეგმილი შიდა სასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, ღონისძიებების, რესურსების და სერვისების შესახებ. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალური ქსელსა და საჯარო ინფორმაციის გამოსაქვეყნებელ დაფაზე. **ინდიკატორი 4.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება (ბრძ. N2-344. 2023წ.07 სექტემბერი);
- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის მასალები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
- ექსტერნის გამოცდის მასალები;
- სკოლის ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/5?schoolName>
- ფეისბუქის გვერდი <https://www.facebook.com/160sajaroskola>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძ. N2-446. 2023წ. 24 ნოემბერი), რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ადაპტაციის და ასევე დეზადაპტაციის ნიშნები, ამავდროულად წესი მოიცავს დეზადაპტაციის დროს განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო

ცხოვრების შესახებ. კლასის ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივობები, კლასის დამრიგებელი ახალ მოსწავლეს წარუდგენს კლასს, აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. ადაპტაციის პროცესში ჩართული შეიძლება იყოს ფსიქოლოგიც. სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებული ტრანზიციის მხარდაჭერი აქტივობები ასევე ორიენტირებულია მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესის ეფექტურად განხორციელებაზე. **ინდიკატორი 4.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორი 4.2.1.2. პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდება.

ინდიკატორი 3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე. კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით სისტემატურად ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით პირისპირ ან სატელეფონო კომუნიკაციით მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. საგნის მასწავლებლები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჩამორჩენის დასაძლევად ხშირად მუშაობენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ საგნის მასწავლებლები საჭიროების მიხედვით მოსწავლეებს უტარებენ დამატებით მეცადინეობას, ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლა ახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს, რომლის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტიკა, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. აღნიშნული გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმითაც.

გარდა ამისა, სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ მეთოდურ მითითებებს, ამეორებიან მასალას. ამის მიუხედავად თუ მაინც ვერ დაძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით კონკრეტული საგნისთვის განსაზღვრული პროგრამა, მოსწავლეს დაენიშნება საშემოდგომო გამოცდა. საშემოდგომო გამოცდისთვის სკოლა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს უნიშნავს საკონსულტაციო შეხვედრებს, დამატებით აძლევს დავალებს და მითითებებს. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი 4.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ შესახებ. მაგალითად, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, მობილობისა და სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ, შიდა სასკოლო მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესახებ

და სხვა. კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გონივრულ ვადებში კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. **ინდიკატორი 4.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (2023 წლის 30 ოქტომბრის N2-411 ბრძანებით). მოსწავლეს (მოსწავლეთა ჯგუფს) უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და საკუთარი აზრების და იდეების განხორციელების ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას/კლასის დამრიგებელს/დირექტორს. მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის შემდგომ დირექტორის მიერ განისაზღვრება პირი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინიციატივების ორგანიზებასა და განხორციელებაში. მოსწავლეთა ინიციატივით ეწყობა სასკოლო შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები, ექსკურსიები. თუმცა, სკოლის წარმომადგენლებმა ისიც აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ არაფორმალური განათლების მიმართულებით გააქტიურებას. გასულ წელს სკოლა სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სხვა სკოლაში გადასვლის გამო, ამ კუთხით შედარებით ნაკლები აქტივობა იყო. ამის მიუხედავად მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ძალისხმევით არაერთი ღონისძიება განხორციელდა. მაგ: ინტელექტუალური შეჯიბრი: „რა, სად, როდის“. გამწვანების აქციები, შეჯიბრებები, მხიარული სტარტები. სკოლა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დახმარებით უზრუნველყოფს არაფორმალური განათლების წახალისებასა და თვითმმართველოს წევრთა მუშაობის მხარდაჭერას. სკოლის სოციალურ ქსელში არის განთავსებული ღონისძიებებისა და პროექტების ამსახველი მასალა. **ინდიკატორი 4.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები და აწარმოებს გამოკითხვებს. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს. მოსწავლეთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია ჯგუფები. მშობელთა უკუკავშირის მიღება ხდება მშობელთა კრებებზე. მიღებულ უკუკავშირს სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. სკოლაში დგას ე.წ. „ანონიმური ყუთი“, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეუძლია თავისი სურვილისა თუ მოთხოვნის ანონიმურად დაფიქსირება. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა მშობლების უკუკავშირის საფუძველზე განხორციელოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. მაგ: მშობელთა მიერ დაფიქსირებული სურვილის შესაბამისად, სკოლამ უზრუნველყო დღის განრიგში ცვლილების შეტანა (ცვლებში), რითაც მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, რომ სხვადასხვა წრეებზე ევლოთ. მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლამ შეძლო მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. უკუკავშირის შედეგები და ანალიზის პროცესს არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძ. N2-448, 24.11.2023წ). **ინდიკატორი 4.2.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (ბრძ. N2-446. 2023წ. 24 ნოემბერი);
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (2023 წლის 30 ოქტომბრის N2-411 ბრძ.);
- გამოცდების (სემესტრული, საშემოდგომო, ექსტერნის) მასალები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- კითხვარის ნიმუშები;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძ. N2-448, 24.11.2023წ).

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.

მოსწავლეებისთვის სკოლა უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება IX-XII კლასების მოსწავლეებისთვის ხორციელდება სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციებს სხვადასხვა პროფესიებზე, უყვებიან კოლეჯებზე, პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე (სპეციალობები, ფაკულტეტები, მიღების წესები და სხვ.), აცნობენ დაწესებულებების ჩამონათვალს. სკოლა უზრუნველყოფს უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენელთა შეხვედრებს მოსწავლეებთან. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეებთან შეხვედრა

გამართა გლდანის პროფესიული მომზადების კოლეჯმა. სპეციალისტებმა ინფორმაცია მიაწოდეს მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიის შემსწავლელი კურსის შესახებ. სკოლა თანამშრომლობს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის გააქტიურებას სხვადასხვა მიმართულებით; მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო პროგრამების გაცნობას; ღია კარის დღეების ორგანიზებას; ერთობლივი შეხვედრებით აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას. ყოველივე ზემოთქულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ **ინდიკატორი 4.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირები *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*.

ინდიკატორი 4.2.2.2. პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ინდიკატორი ვერ შეფასდება.

ინდიკატორი 3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირებს იღებს მშობლებთან შეხვედრებისას. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში სკოლა ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლის წარმომადგენლებმა როგორც აღნიშნეს, სკოლის სარეაბილიტაციო პროცესების დასრულების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს ამ მიმართულების გაძლიერებას, კერძოდ, უკუკავშირის მიღებას პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 4.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (2023 წლის 30 ოქტომბრის N2-411 ბრძ.);
- მემორანდუმები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- კითხვარის ნიმუშები;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (ბრძ. N2-448, 24.11.2023წ).

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

